

ოჯახის წევრის მკვლელობაში მსჯავრდებული ადამიანების ტრავმული
გამოცდილების გამკლავების მექანიზმები

ელინა გლახაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა- ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელინა გლახაშვილი 06.07.2015 “

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი თემა და საკითხები მოიცავს ოჯახის წევრის მკვლევლობის გამო სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირების ტრავმის თავისებურებების შესწავლას. წარმოდგენილი კვლევის მიზანია პატიმრობაში მყოფი პირების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტაბილიზაციაზე ზრუნვისთვის საჭირო ფაქტორების გასაზღვრა ტრავმული ნარატივის საფუძველზე. კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეული იქნა თვისობრივი კომპონენტები ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის საკვლევი კითხვარი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონაწილე პირებს აღენიშნებათ პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა, გართულებული გლოვა და შესაბამისად აღენიშნებათ დეპრესიული ფონი და იმყოფებიან რა პერიტარვმულ სიტუაციაში მათი მდგომარეობის გაუმჯობესება არ/ვერ ხდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პატიმრობაში მყოფი პირები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ტრავმის გამკლავების მექანიზმები ციხეში